

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას

შპს „რადიო გურია“ (ს/ნ: 405787224)

დირექტორის, ჯაბა გველებიანის (პ/ნ: 33001066138)

განცხადება

რადიო მაუწყებლობის ლიცენზიის მოსაპოვებლად დამატებითი დოკუმენტაციის
წარმოდგენის შესახებ

მოგესალმებით,

წინამდებარე განცხადებით წარმოგიდგენთ “საეთერო მაუწყებლობის მომსახურების
ზონა №13-ში კერძო საერთო რადიომაუწყებლობის ლიცენზიის მოსაპოვებლად
კომისიის 2025 წლის 5 ივნისის №გ-25-10/285 გადაწყვეტილებით გამოცხადებულ
კონკურსში მონაწილე ლიცენზიის მამიებლისთვის დოკუმენტაციის წარმოდგენის
დამატებითი ვადის განსაზღვრის შესახებ”, 2025 წლის 16 ივლისის გადაწყვეტილების
(#გ-25-10 / 372) შესაბამისად მოთხოვნილ კორექტირებულ დოკუმენტაციას:

1. განახლებულ ტექნიკურ აღწერილობას, რომელშიც მოცემულია ინფორმაცია თუ
რომელი ძირითადი საშუალებით და ტექნოლოგიით ხდება IP ნაკადის მიწოდება
ქსელის გადამცემ სადგურამდე;
2. აუდიტის დასკვნის შესაბამისად დაკორექტირებულ ინფორმაციას განთავსებული
კაპიტალისა და აქტივების საკუთრებისა და წარმოშობის შესახებ.

პატივისცემით,

ჯაბა გველებიანი

ფურცლების საერთო რაოდენობა: 4

თარიღი: 18.07.2025

მ-25-6/2953
18.07.25
4+1ფ

პატივისცემით,

ჯაბა გველებიანი
დირექტორი
შპს „რადიო გურია“



რადიოგადამცემი ქსელის ტექნიკური აღწერა – „რადიო გურია“

დოკუმენტში წარმოდგენილია „რადიო გურია“-ს რადიოგადამცემი ქსელის ტექნიკური აღწერა, რომელიც მოიცავს სამ რადიოგადამცემი სადგურს (რომლისგანაც შევიძენთ შესაბამის მომსახურებას) გურიის რეგიონში, განლაგებულს ოზურგეთში, ჩოხატაურში და ბახმაროში. ქსელი უზრუნველყოფს ერთიანი სამაუწყებლო კონტენტის სინქრონულ გადაცემას FM დიაპაზონში (ოზურგეთი FM94,5; ჩოხატაური FM93,3; ბახმარო FM98,3), მაღალი ხარისხითა და სტაბილური სამუშაო რეჟიმით.

მთავარი სტუდიის მისამართი: ქ. ოზურგეთი, რუსთაველის ქუჩა №22 (გურიაTV-ის ოფისი)

1. გადამცემი სადგურები და სიმძლავრე

გადამცემი სადგურები განლაგებულია შემდეგ ლოკაციებზე და მოიცავენ განსხვავებულ გამომავალ სიმძლავრეს, რეგიონის გეოგრაფიული თავისებურებების გათვალისწინებით:

ლოკაცია	გამომავალი სიმძლავრე	მოდელი
ოზურგეთი (ანასეული – სახელმწიფო ანძა)	500 ვატი	RT-FMS-501 +IP+RDS
ჩოხატაური	300 ვატი	RT-FMS-501 +IP+RDS
ბახმარო	100 ვატი	RT-FMS-501 +IP+RDS

2. ანძების კოორდინატები და სიმაღლეები

ქვემოთ წარმოდგენილია გადამცემ სადგურებთან დაკავშირებული გეოგრაფიული კოორდინატები, რაც უზრუნველყოფს სიგნალის ოპტიმალურ გავრცელებას სამიზნე ზონებში:

ლოკაცია	კოორდინატები (GPS)
ოზურგეთი (ანასეული)	41°54' 49.39"N, 41°59' 34.70"E
ჩოხატაური	41°59'38.10"N, 42°13'49.40"E
ბახმარო	41°50'35.17"N, 42°19'40.42"E

3. აუდიოს მიწოდება გადამცემ სადგურებზე – IP STL არქიტექტურა

სამივე გადამცემ სადგურს გადაეცემა ერთი და იგივე აუდიოკონტენტი ოზურგეთში განლაგებული მთავარი სტუდიიდან ინტერნეტ ქსელის მეშვეობით. გამოყენებული იქნება სამი წყვილი მოდემი - გადამცემი და მიმღები. სამივე ანძაზე ხელმისაწვდომია ინტერნეტი, ბახმაროს ანძაზე გამოიყენებთ 4G მობილურ ინტერნეტს, ხოლო დანარჩენ ანძებზე 5G მობილურ ინტერნეტს. სტუდიაში გამოიყენება IP აუდიო მოდემი - Encoder (Barix ან მსგავსი), რომელიც აკონვერტირებს ანალოგურ სიგნალს IP ნაკადად და გზავნის მას ქსელით გადამცემ სადგურებზე. სადგურებზე გამოიყენება ანალოგური

აუდიოს დეკოდერი, რომელიც იღებს და აკონვერტირებს ნაკადს გადამცემი მოწყობილობისთვის.

4. ანტენური სისტემა და მაუწყებლობა

გადამცემი სადგურები აღჭურვილია მრავალელებენტიანი ვერტიკალური დიპოლ ანტენებით, რომლებიც ოპტიმიზებულია რეგიონის რადიოგადაცემისთვის. ანტენები დამონტაჟებულია მინიმუმ 30 მეტრ სიმაღლეზე მიწის ზედაპირიდან, რაც უზრუნველყოფს ფართო დაფარვის არეალს და მაღალი ხარისხის მიღებას მიზნობრივი აუდიტორიისთვის. ანტენის გაძლიერების კოეფიციენტი 5, გასხივება წრიული.

5. ენერგომომარაგება და რეზერვი

ყველა სადგური აღჭურვილი იქნება სტაბილური კვების ბლოკებით და UPS სისტემებით, რაც უზრუნველყოფს ავარიული გამორთვისგან დაცვას.

დირექტორი:

ჯაბა გველებიანი



